ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2473824

ნომერი: AR1383081

თარიღი : 02.03.2016

გაცემის თარიღი : 10.03.2016

გაცნობის თარიღი : 10.03.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა N13 / მიხეილ ჭიაურელის ქუჩა N6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბარათაშვილი პ/ნ 01005026964
- საქართველო, ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთელის გამზირი, N 87, ბინა 16

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია წარმოდგენილი დოკუმენტაციით სარეკლამო აბრის განთავსება თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია :

1. პირველ რიგში საჭიროა გასწორდეს რეესტრის მონაცემები სადაც ერთი და იგივე შენობას მინიჭებული აღარ ეექნება სხვადასხვა ნომრები, კერძოდ: საპროექტო შენობის ნომერი ამონაწერი საჯარო რეესტრის მიხედვით დაფიქსირებულია N15, ხოლო საკადასტრო გეგმის მიხედვით დაფიქსირებულია N17;

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ ხერხდება საპროექტო ფასადის ფართის მესაკუთრეების ვინაობის დადგენა, ვინაიდან წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად შპს "მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი"–ს ფართს წარმოადგენს შენობის 1 სართულზე განთავსებული ფართი, ხოლო სარეკლამო აბრის განთავსება ხდება შენობის მე–5 სართულზე. აქედან გამომდინარე იმ შეთხვევაში თუ აღნიშნული ფართი თანასაკუთრებაა და საერთო სარგებლობის ფართია წარმოსადგენი გექნებათ ყველა თანამესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა აღნიშნულ ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობასთან დაკავშირებით (რაც უნდა აიტვირთოს "საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობა ველში" და ასევე წარმოსადგენი გექნებათ საპროექტო ფასადის ფართის თანამესაკუთრეთა ვინაობის შესახებ ცნობა საჯარო რეესტრიდან);

3. წარმოსადგენია თქვენს (გიორგი ბარათაშვილის) სახელზე გაცემული ახალი მინდობილობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე, ვინაიდან ამჟამად წარმოდგენილ მინდობილობას გასული აქვს მოქმედების ვადა, გაცემულია სამი თვის ვადით და ძალაში იყო 2015 წლის 21 აპრილის ჩათვლით.

4. "მოთხოვნის შინაარსის ტექსტი" ჩამოყალიბდეს სრულად და აღწერილი იქნას საპროექტო დავალებით ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე.

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.